- გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დაადასტუროს სწავლის უფლების მოპოვების მსურველი პირების მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის ფლობა არანაკლებ B1 დონეზე.

მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა

გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან / პროგრამიდან მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.

მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი ან სტატუსი შეწყვეტილ პირს, სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში.

პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

სწავლების ორგანიზება

გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 3 აკადემიური წელი (6 სემესტრი) და ითვალისწინებს 180 ECTS კრედიტის დაგროვებას, რაც 4500 ასტრონომიულ საათს უტოლდება. ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს. კრედიტის გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმანხორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

აკადემიური წელი შედგება ორი - შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან. თითოეული სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 (ECTS) კრედიტი (1500 საათი). უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, გამოცდის/დამატებითი გამოცდის ჩატარებისა და სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პერიოდს.

სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.

პროგრამა დასრულებულად ითვლება, როცა სტუდენტი დააგროვებს არანაკლებ 180 ECTS კრედიტს, რაც გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სფეროს ძირითადი, არჩევითი და თავისუფალი კომპონენტის შესრულებას.

სტუდენტი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (emis.seu.edu.ge) მეშვეობით იღებს ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მიმდინარეობასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში ჩარიცხვისას, სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შესასვლელ სახელსა და პაროლს. მას შეუძლია აკადემიური

რეგისტრაცია გაიროს უნივერსიტეტში მოსვლის გარეშე და აქვს აკადემიური თავისუფლება, აკადემიური რეგისტრაციის დროს დარეგისტრირდეს მისთვის სასურველ სასწავლო კურსებზე მისი საგანმანათლებლო პროგრამის გათვალისწინებით, წინასწარ იქონიოს ინფორმაცია სამომავლოდ გასავლელ სასწავლო კურსებზე, ნახოს სასწავლო კურსების სილაბუსები და საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაეცნოს თითოეული სასწავლო კურსის შეფასების სისტემას.

სწავლება-სწავლის მეთოდები

ლექცია - შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობს ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ამიტომ, ის უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული.

ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

დამოუკიდებელი მუშაობა - ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით. სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

წერიითი მუშაობის მეთოდი გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.

პრაქტიკული მეთოდები აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შექმნილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას.

დისკუსია/დებატები ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს სასწავლო კურსის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - შემთხვევების შესწავლა, აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით (ე. წ. ქეისების ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვაზე. ქეისი წარმოდგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად ავითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.

ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული

ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.
- ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.
- მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას ლექტორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.

შეფასების სისტემა

სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, სპეციფიკის, აგრეთვე მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გათვალისწინებით, დაადგინოს შეფასებებისაგან განსხვავებული მინიმალური დადებითი შეფასება, რომელიც არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი.

FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასებებით კომპეტენციის ზღვარის დაძლევა (შუალედური შეფასებით არანაკლებ 25 ქულის დაგროვება).

დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 40%-ს - არანაკლებ 20 ქულას.

კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100-დან არანაკლებ 51 ქულის დაგროვება და შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა.

შეფასების კომპონენტი

სტუდენტის შეფასება პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში მოიცავს შეფასების ორ ფორმას - შუალედურ შეფასებასა და დასკვნით შეფასებას.

შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რომელიც გაწერილია შესაბამისი პროგრამის სილაბუსებში და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის სემესტრის დასაწყისში, სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში - emis.seu.edu.ge.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში, სტუდენტის საბოლოო შეფასების განსაზღვრისათვის, შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა), შუალედური შეფასებას ეთმობა 50 ქულა, ხოლო დასკვნით შეფასებას - 50 ქულა. შუალედურ და დასკვნით შეფასებას დადგენილი აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც დგინდება შესაბამისი

კომპონენტის სილაბუსით. გამონაკლისი დგინდება კონკრეტული პროგრამის/სასწავლო კომპონენტის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის ინტერნაციონალიზაცია

- 1.
2. Klaipeda University
3. Turiba University
4. Tor Vergata University of Rome
5. Lazarski University
6. UCSI University
7. EU Business School
8. Bucharest University of Economic Studies
9. Yeditepe Univerisity
10. University of Calofornia Berkeley
11. University of Economics and Human Sciences in Warsaw
12. Colleague of Canyons
13. Transport and Telecommunication Institute
14. Tomas Bata University in Zlín
15. University of Foggia
16. Yaşar University, Izmir
17. University of A Coruña
18. Universitat Jaume I
19. University of Jaen
20. Romanian American University
21. Titu Maiorescu University
22. DHBW Karlsruhe
23. Kafkas University

პარტნიორი/პრაქტისი განხორციელების ორგანიზაციები

1. ედვანსდ აუდიტ ენდ ქონსალთინგ კომპანია
2. შპს ბაზალტ ფაიბერსი
3. შპს გლობალ ავტო იმპორტ
4. შპს დიჯიტალ მარკეტინგ ჰაუს
5. შპს იმპექსფარმა
6. შპს ინდივანი
7. შპს ინვეტი
8. შპს კოფისტა
9. შპს ლეთა
10. შპს მარკეტინგული ღრუბელი
11. შპს მექან
12. შპს ნუტრიმაქსი
13. შპს პარაგრაფ თბილისი სითი
14. შპს საქართველოს დისტრიბუცია და ლოგისტიკა
15. შპს სოლვეითი
16. შპს ტექნიკინერინგ ჯგუფი
17. შპს GMA Georgia
18. შპს Discover Georgia
19. შპს აუტო ექსპორტ ჯორჯია
20. შპს ლოიალტე
21. შპს Start-Business Solutions
22. ააიპ საქართველოს ხელოვნური ინტელექტის ასოციაცია
23. გრანტ თორნთონ საქართველო

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებულთა დასაქმების პოზიციები

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს მენეჯმენტის საკონსულტაციო, ანალიტიკურ, სამშენებლო, საცალო ვაჭრობის, სადისტრიბუციო, ტურისტულ, ელექტრონული კომერციის სფეროს, ჯანდაცვის სფეროს, მომსახურების სფეროს და ქვეყნის ეკონომიკის სხვა სექტორებში მოქმედ მცირე, საშუალო და მსხვილ კომპანიებში. ამ კომპანიებში კურსდამთავრებულს შეუძლია სხვადასხვა დეპარტამენტებში საშუალო რგოლის მენეჯერად ან სპეციალისტად მუშაობა და შესაბამისი ფუნქციების შესრულება.

სამუშაო დეპარტამენტებია:

- ანალიტიკური დეპარტამენტი
- ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი
- კვლევების და განვითარების დეპარტამენტი
- სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი
- ფინანსური დეპარტამენტი
- პროექტების მართვის დეპარტამენტი
- მარკეტინგის დეპარტამენტი
- რისკების მართვის დეპარტამენტი
- მცირე ბიზნესი

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

მატერიალური რესურსი

გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ხორციელდება თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილ კამპუსში, უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ყველა აუდიტორია აღჭურვილია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების მომსახურებაზე. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ტექ და სამეწარმეო ლაბორატორია, რომელიც სტუდენტებს რეალურ ბიზნეს პროექტებთან დაკავშირების საშუალებას და სხვადასხვა პროექტების შესრულებისთვის საჭირო კონკრეტული უნარების შესასწავლად, ინდივიდუალური მენტორობის მომსახურებით სარგებლობის საშუალებას აძლევს. ლაბორატორია, საერთო იდეების მატარებელ სტუდენტებს ერთმანეთთან დაკავშირების და მათი ბიზნეს იდეების რეალობად ქცევის შანსს აძლევს. გარდა ამისა, ეწყობა კონკრეტული უნარების განმავითარებელი დარგის სპეციალისტთა მიერ ორგანიზებული ვორქშოპები და აქტივობები. ტექ და სამეწარმეო ლაბორატორია ასევე აქტიურადაა ჩართული ცალკეული კურსების პრაქტიკული ელემენტების განვითარებაში, კოორდინირებას უწევს პრაქტიკოსებისა და კომპანიების მონაწილეობას სასწავლო პროცესში.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება პროგრამის ბიუჯეტით. ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და ლიტერატურის მუდმივ განახლებაზე, სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, აკადემიური/მოწვეული პერსონალის სახელფასო დანახარჯებსა და მათი ნაშრომების გამოცემა-დაბეჭდვაზე. ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია

აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის სამეცნიერო მივლინებების ხარჯები, სტუდენტთა დაფინანსება გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო ტრენინგებსა და კონფერენციებში.

პროგრამის ხარისხის მონიტორინგი

გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ხდება პროგრამის მოდიფიცირება/განვითარება.

ხარისხის განვითარების დეპარტამენტი ატარებს რეგულარულ ანალიზსა და ხარისხის გაუმჯობესების სხვა აქტივობებს, რომლებიც შედგება შემდეგი გამოკითხვებისაგან:

ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის განვითარების დეპარტამენტი რეგულარულად ატარებს კვლევებს და ანალიზებს შედეგებს:

- ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასება სტუდენტების მიერ (სემესტრში ერთხელ);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება სტუდენტების მიერ (მიაღწიეს თუ არა პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს) (სწავლის ბოლო წელს);
- უნივერსიტეტის ინსტიტუციური შეფასება სტუდენტების მიერ (წელიწადში ერთხელ);
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა (პროგრამის დასრულებიდან ექვსი თვის შემდეგ);
- პრაქტიკული კომპონენტის შეფასება (პრაქტიკის დასასრულს);
- დამსაქმებელთა გამოკითხვა (წელიწადში ერთხელ);
- სასწავლო კურსის თვითშეფასება (ლექტორის მიერ, სემესტრში ერთხელ);
- პროგრამის თვითშეფასება (პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, წელიწადში ერთხელ);
- აკადემიური მოსწრების ანალიზი.

თითოეული გამოკითხვა გაანალიზებულია და განსაზღვრულია ტენდენციები უნივერსიტეტის მასშტაბით. ასევე, სტრუქტურული ერთეულების, ფაკულტეტების და საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე. გამოკითხვები და კვლევები საშუალებას იძლევა გაკეთდეს შედარებითი ანალიზი ფაკულტეტებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს შორის.

შედარებითი ანალიზი ხორციელდება ხარისხის განვითარების დეპარტამენტის მიერ და შედეგები მიეწოდება ყველა დაინტერესებულ მხარეებს. ხარისხის განვითარების დეპარტამენტი გეგმავს ტრენინგების ორგანიზებას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართულ პერსონალთან და სტუდენტებთან, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს შესაძლებლობები ამ პროცესებში მათი აქტიური მონაწილეობისთვის.

გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა

	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS	სულ საათები	დაშვების წინაპირობა	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა						კრედიტების სემესტრული განაწილება																
					ლექცია	ვორქშოფი/ სემინარი/ პრაქტიკული	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო	დამოუკიდებელი მუშაობა	I	II	III	IV	V	VI											
ძირითადი სწავლების სფეროს სასწავლო კურსები																											
N	სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	16 5		შესაბამის სემესტრში ასათვისებელი სავალდებულო კრედიტების რაოდენობა								I	II	III	IV	V	VI										
												3 0	3 0	30	30	25	20										
1.	გლობალურ მრავალფეროვან გუნდებში მუშაობა	10	250	არ აქვს	26	52	6	84	166	1 0																	
2.	მონაცემთა ანალიზის უნარები ბიზნესისთვის	5	125	არ აქვს	13	26	3	42	83	5																	
3.	ბიზნეს ბუღალტერია	10	250	არ აქვს	26	52	6	84	166	1 0																	
4.	პროფესიული ინგლისური	5	125	არ აქვს	52		3	55	70	5																	
5.	მარკეტინგის თეორიებისა და პრაქტიკის პრინციპები	5	125	არ აქვს	13	26	3	42	83		5																

	ბიზნესის ეკონომიკური გარემო	10	250	არ აქვს	26	52	6	84	166		10			
7.	ლიდერობა და პერსონალის მართვა	10	250	არ აქვს	26	52	6	84	166		10			
8.	შესავალი მეწარმეობაში	5	125	არ აქვს	13	26	3	42	83		5			
9.	ციფრული მარკეტინგი	10	250	მარკეტინგის თეორიებისა და პრაქტიკის პრინციპები	26	52	6	84	166			10		
1	მეწარმეობა გლობალურ კონტექსტში	10	250	შესავალი მეწარმეობაში	26	52	6	84	166			10		
1	საერთაშორისო ვაჭრობა 1.	10	250	არ აქვს	26	52	6	84	166			10		
1	ჯიპერაციათა მენეჯმენტი	5	125	არ აქვს	13	26	3	42	83				5	
1	საერთაშორისო ბიზნეს სტრატეგია	10	250	არ აქვს	26	52	6	84	166				10	
1	პროექტის მენეჯმენტი	10	250	არ აქვს	26	52	6	84	166				10	
1	გლობალური სამუშაო ძალის მართვა	5	125	არ აქვს	13	26	3	42	83				5	
1	მენეჯერული აღრიცხვა	5	125	ბიზნეს ბუღალტერია	13	26	3	42	83					5
1	ბიზნესის კვლევის უნარები	10	250	არ აქვს	26	52	6	84	166					10

1	ცაერთაშორისო ბიზნეს სამართალი	5	125	არ აქვს	13	26	3	42	83					5	
1	მდგრადი ბიზნესი	5	125	არ აქვს	13	26	3	42	83					5	
2	0. მეწარმეობის ბიზნეს გეგმა	10	250	მდგრადი ბიზნესი; მეწარმეობა გლობალურ კონტექსტში; საერთაშორისო ბიზნეს სამართალი	26	52	6	84	166						10
2	1. პრაქტიკა გლობალური ბიზნესის მენეჯმენტში	10	250	გლობალურ მრავალფეროვან გუნდებში მუშაობა; ლიდერობა და პერსონალის მართვა; მდგრადი ბიზნესი											10
N	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	10	შესაბამის სემესტრში ასათვისებელი არჩევითი კრედიტების რაოდენობა	I	II	III	IV	V	VI						
								5	5						

ადამიანური რესურსი

N	სასწავლო კურსი	კურსის განმახორციელებელი	სტატუსი
1.	გლობალურ მრავალფეროვან გუნდებში მუშაობა	ირაკლი პეტრიაშვილი	ასისტენტ პროფესორი
2.	მონაცემთა ანალიზის უნარები ბიზნესისთვის	ლია კურტანიძე	ასოცირებული პროფესორი
		დავით ყიფშიძე	ასისტენტ პროფესორი
3.	ბიზნეს ბუღალტერია	პაატა შურღია	ასოცირებული პროფესორი
		მაია სირაძე	ასისტენტ პროფესორი
4.	პროფესიული ინგლისური	ნინო ჩიქოვანი	მოწვეული ლექტორი
5.	მარკეტინგის თეორიებისა და პრაქტიკის პრინციპები	რუსუდან ბერიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
6.	ბიზნესის ეკონომიკური გარემო	მარიამ გავაშელი	ასოცირებული პროფესორი
		ქეთევან მაჩაიძე	მოწვეული ლექტორი
7.	ლიდერობა და პერსონალის მართვა	თეონა მაისურაძე	პროფესორი
8.	შესავალი მეწარმეობაში	ბექარ კილასონია	ასისტენტ პროფესორი
		ელენე კვიციანიშვილი	მოწვეული ლექტორი
9.	ციფრული მარკეტინგი	ლია ხმიადაშვილი	მოწვეული ლექტორი
10.	მეწარმეობა გლობალურ კონტექსტში	მარიამ ცისკარაშვილი	მოწვეული ლექტორი
11.	საერთაშორისო ვაჭრობა	მარიამ ცისკარაშვილი	მოწვეული ლექტორი

	ოპერაციათა მენეჯმენტი	ნატია კობერიძე	ასოცირებული პროფესორი
13.	საერთაშორისო ბიზნეს სტრატეგია	დავით ყიფიანი	მოწვეული ლექტორი
		სერგო გელაშვილი	მოწვეული ლექტორი
14.	პროექტის მენეჯმენტი	ნინო ბარქაია	მოწვეული ლექტორი
15.	გლობალური სამუშაო ძალის მართვა	თეონა მამისურაძე	პროფესორი
16.	მენეჯერული აღრიცხვა	პაატა შურღაია	ასოცირებული პროფესორი
17.	ბიზნესის კვლევის უნარები	გიორგი მამნიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
18.	საერთაშორისო ბიზნეს სამართალი	სალომე ჭელიძე	მოწვეული ლექტორი
19.	მდგრადი ბიზნესი	ნათია გელაშვილი	ასოცირებული პროფესორი
20.	მეწარმეობის ბიზნეს გეგმა	გურამ შეროზია	მოწვეული ლექტორი
21.	ბრენდის მენეჯმენტი	რუსუდან ბერიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
22.	მარკეტინგის მენეჯმენტი	რუსუდან ბერიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
23.	ცვალებადი ორგანიზაციების მართვა	ზურაბ მუშკუდიანი	ასოცირებული პროფესორი
24.	შესავალი საბანკო საქმეში	ელენე კვიციანიშვილი	მოწვეული ლექტორი
25.	ფინანსური მენეჯმენტი	ნინო სამჭკუაშვილი	ასოცირებული პროფესორი

აკადემიური/მოწვეული პერსონალი

N	სახელი და გვარი	სტატუსი	აფილირება
1.	თეონა მაისურაძე	პროფესორი	აფილირებული
2.	ხატია კობერიძე	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
3.	ლია კურტანიძე	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
4.	მარიამ გავაშელი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
5.	ნათია გელაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
6.	ნინო სამჭკუაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
7.	ჰაატა შურღაია	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
8.	რუსუდან ბერიაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
9.	ზურაბ მუშკუდიანი	ასოცირებული პროფესორი	-
10.	გიორგი მამნიაშვილი	ასოცირებული პროფესორი	-
11.	ბექარ კილასონია	ასისტენტ პროფესორი	აფილირებული
12.	მაია სირაძე	ასისტენტ პროფესორი	აფილირებული
13.	დავით ყიფშიძე	ასისტენტ პროფესორი	-
14.	ირაკლი პეტრიაშვილი	ასისტენტ პროფესორი	-
15.	დავით ყიფიანი	მოწვეული ლექტორი	-
16.	ელენე კვიციანიშვილი	მოწვეული ლექტორი	-
17.	გურამ შეროზია	მოწვეული ლექტორი	-
18.	ქეთევან მაჩაიძე	მოწვეული ლექტორი	-
19.	ლია ხმიადაშვილი	მოწვეული ლექტორი	-

	მარიამ ცისკარაშვილი	მოწვეული ლექტორი	-
21.	ნინო ბარქაია	მოწვეული ლექტორი	-
22.	ნინო ჩიქოვანი	მოწვეული ლექტორი	-
23.	სალომე ჭელიძე	მოწვეული ლექტორი	-
24.	სერგო გელაშვილი	მოწვეული ლექტორი	-